

ხელშეკრულება სადეპოზიტო სერტიფიკატის გასხვისების შესახებ

ქ. _____

___ 20- წელი

ერთის მხრივ სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ _____ ფილიალი [შემდგომ „ბანკი“], წარმოდგენილი _____ სახით, მეორეს მხრივ _____ [შემდგომ „გამსხვისებელი“] და მესამეს მხრივ _____ [შემდგომ „შემძენი“], ვთანხმდებით შემდეგზე:

- წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე, გამსხვისებლის მიერ შემძენზე ხდება სადეპოზიტო სერტიფიკატის გასხვისება.
- სადეპოზიტო სერტიფიკატის მახასიათებლებია:
 - სერტიფიკატის სახეობა -
 - სერტიფიკატის ნომინალური ღირებულება -
 - სერტიფიკატის ვალუტა -
 - სერტიფიკატის საპროცენტო განაკვეთი -
 - სერტიფიკატის ვადა -
- წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე შემძენი დავალებას აძლევს ბანკს, რომ მის ანგარიშზე არსებული თანხიდან ჩამოჭრას _____, როგორც სერტიფიკატის გასხვისების საკომისიო, ხოლო დარჩენილი თანხა _____ ოდენობით, როგორც სერტიფიკატის შემძენის ღირებულება, გადარიცხოს გამსხვისებლის ბანკში გახსნილ ანგარიშზე.
- წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გამსხვისებელი დავალებას აძლევს ბანკს, რომ მის ანგარიშზე წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლში მითითებული თანხების ასახვისთანავე, სადეპოზიტო სერტიფიკატი ჩათვალოს გასხვისებულად და შემძენი ასახოს სერტიფიკატის მფლობელად.
- შემძენი ადასტურებს, რომ იგი [1] სრულად იცნობს სადეპოზიტო სერტიფიკატთან დაკავშირებულ ხელშეკრულებას, მათ შორის საპროცენტო განაკვეთებს, [2] ასევე „სადეპოზიტო სერტიფიკატით სარგებლობის ძირითად პირობებს“, რომელიც განთავსებულია ბანკის ოფიციალურ გვერდზე www.vtb.ge და [3] რომ იგი წარმოდგენს სადეპოზიტო სერტიფიკატის წინა მფლობელ[ებ]ის უფლებამონაცვლესა და სამართალმემკვიდრეს.
- გამსხვისებელი ვალდებულია გადასცეს შემძენს მის ხელთ არსებული და სადეპოზიტო სერტიფიკატთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი.
- ნებისმიერი დავა, გამომდინარე წინამდებარე ხელშეკრულებით [პირობებით] დარეგულირებული ურთიერთობებიდან და მასთან დაკავშირებული აქცესორული ხელშეკრულებებიდან, დაკავშირებული მათ გაუქმებასთან, შეწყვეტასთან, ბათილობასთან, ხელშეკრულებიდან გასვლასთან და მისგან გამომდინარე ნებისმიერ შედეგთან [მათ შორის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენებასთან], ასევე წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული საარბიტრაჟო დათქმის ნამდვილობასა და არსებობასთან დაკავშირებული საკითხები განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა შპს „საქართველოს საარბიტრაჟო პალატას“ [საიდენტიფიკაციო N205267389], რომლის იურისდიქციას მხარეები აღიარებენ ანულირების გარეშე. აღნიშნული არბიტრაჟი საქმეს განიხილავს თავისი დებულებით დადგენილი წესით. საქმეს, მისი სირთულიდან გამომდინარე, განიხილავს არბიტრაჟი ერთი ან სამი არბიტრის შემადგენლობით. არბიტრებს ნიშნავს და მათ რაოდენობას განსაზღვრავს არბიტრაჟი. არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველყოფის შესახებ ექვემდებარება აღსრულებას არბიტრაჟის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე და არ საჭიროებს სასამართლოს მიერ ცნობასა და აღსრულებას.

8. მხარეები დამატებით იღებენ ვალდებულებას მისამართის ან/და ფაქტობრივი ადგილსამყოფელის შეცვლის შემთხვევაში აცნობონ იგი არბიტრაჟს, წინააღმდეგ შემთხვევაში არბიტრაჟის მიერ კორესპონდენცია გაგზავნილი იქნება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისამართის მიხედვით და კორესპონდენცია [მათ შორის გზავნილი, გარკვეულ საარბიტრაჟო მოქმედებათა შესახებ შეტყობინება, განკარგულება, გადაწყვეტილება და ა.შ.] ჩაითვლება ჩაბარებულად [შესაბამისი თანმდევი სამართლებრივი შედეგებით].
9. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე, შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო გადაეცემათ მხარეებს.
10. მხარეები:

გამსხვისებელი	ბანკი	შემძენი
	სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ ს/ნ 202906427	